# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №12

*ქ. ზუგდიდი* **20** *ივლისი* **2016** *წელი.*

ერთის მხრივ, ააიპ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სამხატვრო გალერეა“ (შემდგომში „დამკვეთი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის აბელ კალანდიას სახით და მეორეს მხრივ, *ინდ.მეწარმე „ზურაბ ცირამუა“* (შემდგომში „შემსრულებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ინდ. მეწარმის ზურაბ ცირამუას სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ-საქართველოს კანონის,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ მოთხოვნათა გათვალისწინებით,გამარტივებული შესყიდვის საშუალებით,ვდებთ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

**1.1** „შემსრულებელი“ ვალდებულებას კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო „დამკვეთი“ ვალდებულებას კისრულობს აუნაზღაუროს „შემსრულებელს“ შესრულებული სამუშაოს ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

**1.2** ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სამხატვრო გალერეა“-ს 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, „დამკვეთის“ მიერ „შემსრულებლისაგან“ ააიპ „სამხატვრო გალერეა“-ს ინტერიერის სარემონტო სამუშაოების ჩატარება *(CPV კოდი: 45400000 – შენობის მოწყობის სამუშაოები) თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად,გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.*

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

**2.1** შესასრულებელი სამუშაოს მთლიანი, ჯამური ღირებულება შეადგენს: 1998 (ერთიათასცხრაასოთხმოცდათვრამეტი) ***ლარს.***

## 3. სამუშაოს შესრულების პირობები

**3.1** სამუშაოს შესრულება „შემსრულებლის“ მიერ განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

**3.1** სამუშაოს შესრულების პარალელურად, „შემსრულებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა „დამკვეთისათვის“ (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

## 4. მიღება-ჩაბარების წესი

**4.1** შესრულებული სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიღების აქტი) გაფორმების შემდეგ.

**4.2** შესრულებული სამუშაოს მიღება მოხდება სამუშაოების დასრულებისთანავე ან ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტებით.

**4.3** ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღებას ახორციელებენ „დამკვეთისა“ და „შემსრულებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც სამუშაოს მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

## 5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

**5.1** ანგარიშსწორება „შემსრულებელთან“ განხორციელდება შესრულებული სამუშაოს მიღების შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორების სახით, „შემსრულებლის“ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის ფორმით.

**5.1** ანგარიშსწორებას „დამკვეთი“ განახორციელებს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს გათვალისწინებით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტის) და წერილობითი მომართვის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. შესაძლებელია განხორციელდეს შუალედური გადახდები, აღნიშნული პირობების დაცვით.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

**6.1** *„დამკვეთი" ვალდებულია:*

**6.1.1** უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „შემსრულებლისათვის" წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;
**6.1.2** შეუქმნას „შემსრულებელს" სამუშაო პირობები;
**6.1.3** გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

**6.2** *„დამკვეთი" უფლებამოსილია:*

**6.2.1** „შემსრულებლისგან" მოითხოვოს სამუშაოს შესრულება ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში;
**6.2.2** „შემსრულებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;
**6.2.3** დაუბრკოლებლივ განახორციელოს „შემსრულებლის" მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმება;
**6.2.4** „შემსრულებლისგან" მოითხოვოს შესრულებული სამუშაოს შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

**6.3** *„შემსყიდველი" ვალდებულია:*

**6.3.1** ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით შეასრულოს სამუშაო;
**6.3.2** ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „დამკვეთს" წარუდგინოს შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;
**6.3.3** საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „დამკვეთის" მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლისა და დეფექტის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია შესრულებული სამუშაოებიდან;
**6.3.4** სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს „დამკვეთს" შესრულებული სამუშაოს შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტი;
**6.3.5** დაუყოვნებლივ აცნობოს „დამკვეთს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;
**6.3.6** ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „დამკვეთს" შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

**6.4** *„შემსრულებელი" უფლებამოსილია:*

**6.4.1** „დამკვეთისგან" მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

## 7. უფლებების გადაცემა

**7.1** „შემსრულებელს" არა აქვს უფლება „დამკვეთის" წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

**8.1** წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „დამკვეთისათვის," გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
**8.2** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე (ათი პროცენტი) მეტი ოდენობით გაზრდა.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

**9.1** ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

**9.2** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „დამკვეთი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს „შემსყიდველს“ რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

**9.3** ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. შეტყობინება

**10.1** ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

**10.2** შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

**11.1** ხელშეკრულების შერულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

**11.2** იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

**12.1** ფორს-მაჟორული პირობების გარდა, „შემსრულებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს მისს პასუხისმგებლობას, მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

**12.2** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის „შემსრულებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს „დამკვეთის“ წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**12.3** თუ „შემსრულებელი“ პირგასამტეხოლოს სახით გადახდის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში არ გადაიხდის პირგასამტეხლოს, მას დამატებით დაეკისრება ჯარიმა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღისათვის, პირგასამტეხლოს თანხის 0,15%-ის ოდენობით.

**12.4** იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, „დამკვეთს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

**12.5** „დამკვეთი“ უფლებას იტოვებს მოახდინოს პირგასამტეხლოს გამოქვითვა „შემსრულებლისათვის“ ასანაზღაურებელი თანხიდან ან სახელშეკრულებო ღირებულებიდან დაუკავოს თანხა, გადასახდელი პირგასამტეხლოს ორმაგ ოდენობამდე, დაკისრებული ჯარიმის სრულ დაფარვამდე.

**12.6** პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „შემსრულებელს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

**13.1** ერთი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

**13.2** ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 3 (სამი) დღით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

## 14. ფორს-მაჟორი

14.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

14.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპესაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

14.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 16. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

16.1 „დამკვეთის“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი „შემსრულებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

16.2 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „დამკვეთის“ მიერ გამოყოფილი წარმომადგენელი ან სპეციალური ინცპექტირების ჯგუფი.

16.3 ინსპექტირება განხორციელდება პერიოდულად,წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

16.4 „შემსრულებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

16.5 „შემსრულებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

16.6 ინსპექტირების ჯგუფი სამუშაოების წარმოების ადგილას, პერიოდულად, სამუშაოების შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ჩაატარებს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას, რომელიც გულისხმობს შესრულებული სამუშაოს მოცულობის და ხარისხის კონტროლს.

16.7 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ სამუშაოს ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს „დამკვეთის“ მიერ დადასტურებული აქტი.

## 17. დასკვნითი დებულებანი

17.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

17.2 მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

17.3 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

17.4 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

17.5 სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70% უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

17.6 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2016 წლის 18 აგვისტომდე.

17.7 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და ერთი ეგზემპლარი ინახება „დამკვეთთან," ხოლო ორი ეგზემპლარი გადაეცემა „შემსრულებელს."

## 18. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„დამკვეთი"

ააიპ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
„ სამხატვრო გალერეა "
საიდენტიფიკაციო კოდი: 220411141
მისამართი: ქ. ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. №28
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22

ააიპ „სამხატვრო გალერეა"-ს:
დირექტორი: /ა. კალანდია/

„შემსრულებელი"

ი/მ „ზურაბ ცირამუა"
საიდენტიფიკაციო კოდი: 19001074161
იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი,პაპანინის ქ. №65
საბანკო რეკვიზიტები: სს ბანკი „რესპუბლიკა"
ბანკის კოდი: REPLGE22
ანგარიშის ნომერი:GE17BR0000010001242440

ინდ.მეწარმე
...................................... /ზ. ცირამუა/

ა(ა)იპ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სამხატვრო გალერეა"-ს
ინტერიერის სარემონტო სამუშაოების
ხ არ ჯ თ ა ღ რ იც ხ ვ ა

| № | სამუშაოების დასახელება | განზ. | რაოდენობა | | მასალები | | ხელფასი | | მანქანა მექანიზმები | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ერთ. | სულ. | ერთ. | სულ | ერთ. | სულ | ერთ. | სულ | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| | კედლიდან დაზიანებული ბათქაშის კერების ჩამოფხეკა ხელით | მ2 | | 51 | | | 3,0 | 153 | | | 153 |
| | კედლის შელესვა ქვიშა ცემენტის ხსნარით ქვიშა-ცემენტის ხსნარი | მ2<br>მ3 | | 51<br>1,6 | 125 | 200 | 5,0 | 255 | | | 255<br>200 |
| | კედლის შეფითხვნა და ზუმფარით დამუშავება ფითხი | მ2<br>კგ | | 228,5<br>50 | 3,44 | 172 | 2,25 | | | | 514<br>172 |
| | კედლის შეღებვა ემულსიის საღებავით საღებავი ემულსია | მ2<br>კგ | | 228,5<br>85 | 0,56 | 48 | 1,5 | 340 | | | 340<br>48 |
| | ჯამი: | | | | | | | | | | 1682 |
| | ზედნადები ხარჯები | 10% | | | | | | | | | 168 |
| | ჯამი: | | | | | | | | | | 1850 |
| | გეგმიური დაგროვება | 8% | | | | | | | | | 148 |
| | სულ ჯამი: | | | | | | | | | | **1998** |

შეადგინა:
ინდ. მეწარმე: /ზ. ცირამუა/

შეთანხმებულია:
ა(ა)იპ ,,სამხატვრო გალერეა"-ს
დირექტორი: /ა. ჯალანდია/